



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი

7/09/2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	შპს

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი , 0619
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა დიხამინჯია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ რუხაია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზურაბ ბოსიკაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანი მაჭარაშვილი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიკო შარაბიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საქართველოს უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამამ „ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში“ ერთწლიანი პირობითი აკრედიტაცია მიიღო 2019 წელს. პროგრამის მიზანია, მოამზადოს ინფორმაციული ტექნოლოგიების საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტები ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურად მართვის, პროგრამული უზრუნველყოფის დაგეგმვის, შემუშავების და დანერგვის მიმართულებით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი საქართველოს უნივერსიტეტში განხორციელდა 2020 წლის 17 ივლისს. ვიზიტი ჩატარდა სტანდარტების შესაბამისად: ჩატარდა ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აფილირებულ და მოწვეულ პროფესორებთან, სტუდენტებთან, მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ვიზიტის დროს ექსპერტებმა მოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია: სწავლის შედეგების რუკა, სამი სილაბუსი, რომელიც წინასწარ მოწოდებულ დოკუმენტაციაში იყო ცარიელი, სტუდენტთა კითხვარების ანალიზი და მისაღები გამოცდის საკითხების სავარაუდო ჩამონათვალი. ყველა დოკუმენტაცია იქნა მოწოდებული იმ დღესვე.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამა სრულად შეესაბამება პირველ სტანდარტს. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ჩამოყალიბებულია ცხადად და მიღწევადია პროგრამის სტრუქტურის და შეფასების მეთოდების იმ ცვლილებებით, რომლებიც მეორე სტანდარტშია რეკომენდირებული.

პროგრამა მეტწილად შეესაბამება მეორე სტანდარტს. სპეციალობის გასაუბრების შეფასება არ არის ცხადად განსაზღვრული, არჩევითი საგნების დიდი რაოდენობის შეთავაზება დაჯგუფების გარეშე ვერ უზრუნველყოფს თანაბარ შედეგებზე გასვლას, პროგრამის სავალდებულო საგნები ვერ უზრუნველყოფს ყველა მითითებულ სწავლის შედეგზე გასვლას, არ არის განსაზღვრული ყველა მითითებული სწავლების მეთოდის შესაბამისი სამუშაო ან დავალება სილაბუსში, შეფასების მეთოდები ხშირად უნიფიცირებულია და არ ასახავს საგნის სპეციფიკას.

პროგრამა სრულად შეესაბამება მესამე სტანდარტს. სტუდენტებს აქვთ განვითარების მრავალფეროვანი შესაძლებლობები და სამაგისტრო ნაშრომებს ხელმძღვანელობს კვალიფიციური პერსონალი.

პროგრამა მეტწილად შეესაბამება მეოთხე სტანდარტს. დაწესებულებას ძირითადად აქვს საკმარისი მატერიალური და ადამიანური რესურსი პროგრამის განხორციელებისთვის. თუმცა საჭიროა დარგის მიმართულებით კვლევების გაძლიერება, განსაკუთრებით პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან. ასევე საჭიროა პროგრამის ბიუჯეტის დეტალური გაწერა.

პროგრამა მეტწილად შეესაბამება მეხუთე სტანდარტს. ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად მექანიზმები გაწერილია და ძირითადად სრულდება, თუმცა პრაქტიკულად სუსტად ჩანს პროგრამის ხარისხის შეფასება და არ არსებობს სამიზნე ნიშნულები პროგრამის სრულფასოვანი მონიტორინგისთვის.

▪ რეკომენდაციები

- პროგრამაზე მიღებისას სპეციალობის გამოცდა-გასაუბრება შეფასდეს ქულებით და გამოცდის შედეგები გამოქვეყნდეს;
- განისაზღვროს სპეციალობის გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულა და დადებითი შეფასების ზღვარი;
- დაჯგუფდეს არჩევითი საგნები მიმართულებების მიხედვით;
- კურსები, რომლებიც მნიშვნელოვანია მითითებული სწავლის შედეგებისთვის, გახდეს სავალდებულო-არჩევითი: ერთ-ერთი დაპროგრამების ენა, მონაცემთა ბაზებთან დაკავშირებული კურსები და DevOps;
- DevOps-ის სილაბუსი შეიცვალოს DevOps თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;
- სისტემური დაპროგრამების სილაბუსი შეიცვალოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და განახლდეს ლიტერატურა;
- გაიზარდოს პროგრამის ხელმძღვანელის სამეცნიერო კვლევების რაოდენობა;
- გაიზარდოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა კვლევები საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით;
- დაინერგოს სამაგისტრო ნაშრომების შეფასების ისეთი მექანიზმები, რომლებიც ახალ პროგრამაში უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომებში კვლევითი კომპონენტის სათანადო სტანდარტს.
- გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომების შეფასების მექანიზმები კვლევითი კომპონენტის სათანადო სტანდარტის მისაღწევად;
- გაძლიერდეს შიდა და გარე ხარისხის შეფასების პრაქტიკული განხორციელება და შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები პროგრამის მონიტორინგისთვის;
- პროგრამის სწავლის შედეგები მოვიდეს კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში ერთნაირი კომპეტენციების სფეროების მიხედვით.
- პროგრამის ბიუჯეტი გაიწეროს დეტალურად და გათვალისწინებული იყოს პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ხარჯები

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ნაწილში და გაიზარდოს მასში ფიქსირებული შედეგების გადამოწმების შესაძლებლობები უშუალოდ პროგრამაზე სწავლის პერიოდში.
- შეიქმნას პრაქტიკული კომპონენტის მეტად ინტეგრირების შესაძლებლობები უშუალოდ პროგრამაზე სწავლის პერიოდში, რითაც შეიქმნება ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის შედეგების გადამოწმების მეტი პერსპექტივები.
 - სტუდენტების შემდგომი სწავლების პროცესის ხელშეწყობის მიზნით გაიზარდოს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ჩამონათვალი.
 - გაიზარდოს პროგრამაში ჩართული პროფესორების კვლევები სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებული მიმართულებით
 - პროგრამის სამაგისტრო ნაშრომებში მიექცეს ყურადღება კვლევითი ნაწილის გაძლიერებას.
 - პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში გაძლიერდეს თანამშრომლობა დარგთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან.

- გაიზარდოს პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების საათობრივი დატვირთვა;
- დაინერგოს პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკები და მოხდეს მათი გამოყენება სამაგისტრო ნაშრომის მიღმა;

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

▪ განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2019 წლის აკრედიტაციისას ექსპერტთა ძირითადი რეკომენდაციები იყო:

1. კვალიფიკაციის დაზუსტება - გათვალისწინებულია;
2. კვალიფიკაციის შესაბამისი სავალდებულო საგნების რაოდენობის გაზრდა - გათვალისწინებულია;
3. კურსის შეფასების მეთოდების დივერსიფიკაცია და მორგება კურსის სწავლის შედეგებზე - არ არის გათვალისწინებული;
4. მიღებისას ინგლისურის დონის განსაზღვრა - გათვალისწინებულია;
5. სპეციალობის გამოცდის საკითხების მითითება და შეფასების განსაზღვრა- ნაწილობრივ გათვალისწინებულია;
6. არჩევითი საგნების კონცენტრაციების განსაზღვრა, რომ სტუდენტები თანაბარ შედეგზე გადიოდნენ - არ არის გათვალისწინებული;

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის მიზანია, მოამზადოს ინფორმაციული ტექნოლოგიების საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტები ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურად მართვის, პროგრამული უზრუნველყოფის დაგეგმვის, შემუშავების და დანერგვის მიმართულებით. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ისევე როგორც ფაკულტეტის მიზნებს, არის რეალისტური და მიღწევადი და ასახავს იმ ძირითად კომპეტენციებს, რომელიც ექნება კურსდამთავრებულს.
- პროგრამის მიზნებში განსაზღვრულია კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლებლობები და ის ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და საერთაშორისო ტენდენციებს. პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამის განვითარებაში ჩართული პირების მიერ, განსაკუთრებით აღსანიშნავია დამსაქმებლების ჩართულობა ამ პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია;
- პროგრამის აღწერა და თვითშეფასება;
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუები აფილირებულ და მოწვეულ პროფესორებთან;
- ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუები დამსაქმებლებთან;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის აღწერაში მოცემულია ძველი სტანდარტით - 6 კომპეტენციის სფეროს მიხედვით, თუმცა სილაბუსების უმეტესობაში სწავლის შედეგები მოცემულია სამი კომპეტენციის სფეროს მიხედვით. თვითშეფასების ჯგუფის თქმით, ეს არის ტექნიკური ხარვეზი.</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს, დარგის სპეციფიკას და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე.</p>

სწავლის შედეგები რეალისტურია, შეესაბამება პროგრამის მიზნებს, თუმცა მოცემული საგნობრივი განაწილებით არ არის სრულად მიღწევადი, რაც დეტალურად აღნიშნულია 2.2 კომპონენტში.

- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა ასახავს პროგრამის საფუძველზე მიღებულ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, ასევე აჩვენებს თუ, რომელი კურსი უზრუნველყოფს მათ. თუმცა, სასურველია, რომ კურსების შემთხვევაში მითითებული იყოს ისიც, თუ რა დონეზეა შესაძლებელია მათი მიღწევა. ამ თვალსაზრისით, პროგრამის ხელმძღვანელობამ შესაძლებელია გამოიყენოს გრადაციის სხვადასხვა სისტემები. ამავდროულად, ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ნაწილში მითითებული შედეგების ნაწილი უფრო მეტად შეესაბამება ცოდნასა და უნარებს, ვიდრე ავტონომიურობასა და პასუხისმგებლობას. ასე მაგალითად, სასწავლო დროის დაგეგმვისა და მართვის (მენეჯმენტის) უნარი, შექმნილი ცოდნისა და გამოცდილების ახალთან ინტეგრირების უნარი, ორგანიზაციის IT მენეჯმენტისა და IT მმართველობის ობიექტურად შეფასებისა და გაუმჯობესების უნარი და სხვა. აქვე, გასათვალისწინებელია, რომ პროგრამის დონეზე პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიღწევის შეფასების შესაძლებლობები იყოს უშუალოდ პროგრამის განხორციელების ეტაპზევე პრაქტიკული დამოუკიდებელი/გუნდური სამუშაოების დონეზე (ლაბორატორიები, პრაქტიკა და სხვა). სხვაგვარად, ამ შედეგების მიღწევის შესაძლებლობების გადამოწმება რთულდება. სასურველია, რომ ანალოგიური დაცული იყოს საგნების დონეზეც.
- მენეჯმენტის მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამაში გაწერილი შედეგები და მისი მიღწევის შესაძლებლობები დასტურდება როგორც დოკუმენტაციის, ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების პროცესში. თუმცა, სასურველია, რომ პროგრამაში გაიზარდოს მენეჯმენტის დონეზე რელევანტური ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის შედეგების პროგრამის ფარგლებში მიღწევის შესაძლებლობების შეფასების პოტენციური პრაქტიკული კომპონენტის გაზრდისა და ლაბორატორიების სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერა და თვითშეფასება;
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუები აფილირებულ და მოწვეულ პროფესორებთან;
- ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუები დამსაქმებლებთან;

რეკომენდაციები:

პროგრამის სწავლის შედეგები მოვიდეს კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში ერთნაირი კომპეტენციების სფეროების მიხედვით

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ნაწილში და გაიზარდოს მასში მითითებული შედეგების გადამოწმების შესაძლებლობები უშუალოდ პროგრამაზე სწავლის პერიოდში.
- შეიქმნას პრაქტიკული კომპონენტის მეტად ინტეგრირების შესაძლებლობები უშუალოდ პროგრამაზე სწავლის პერიოდში, რითაც შეიქმნება ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის შედეგების გადამოწმების მეტი პერსპექტივა.

<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x			

2. სწავლების მეთოდოლოგია დაორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილ პროგრამაში პროგრამაზე დაშვების პირობა წარმოდგენილია შემდეგი სახით: „აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (სამაგისტრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ინგლისურ ენაში (წერითი) და სპეციალობაში (ზეპირი) გამოცდის წარმატებით გავლის, ადმინისტრაციული რეგისტრაციის და დირექტორის ბრძანების საფუძველზე“.

პროგრამაზე დაშვება განსაზღვრულია ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის, ამიტომ ძირითადად სპეციალობის გამოცდა განსაზღვრავს აბიტურიენტის მზაობას პროგრამის ათვისებისთვის. სპეციალობის გამოცდა ტარდება ზეპირი გასაუბრებით. პროგრამის ხელმძღვანელობის თქმით, გამოცდის საკითხები ქვეყნდება გამოცდის წინ ერთი თვით ადრე.

ამ სპეციალობის და სხვა სპეციალობის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუებზე აღნიშნეს, რომ სპეციალობის გამოცდა ჩატარდა ზეპირი გამოკითხვის სახით წინასწარ მიცემული საკითხების მიხედვით, რომელიც მოიცავდა ინფორმატიკის ფართო მიმართულებით, თუმცა ნიშნით შეფასება არ ყოფილა. ექსპერტთა მოთხოვნის პასუხად დაწესებულებამ მოგვაწოდა სავარაუდო საკითხების ჩამონათვალი, რომელთა ცოდნა საკმარისია პროგრამის წარმატებით ათვისებისთვის. თუმცა საკითხების გარდა, არ არის აღნიშნული, რამდენი ხანი გრძელდება გასაუბრება, რა უნარებს და ცოდნას ენიჭება უპირატესობა და როგორ ფასდება გასაუბრების თითოეული კომპონენტი.

იმისათვის, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იყოს სამართლიანი და გამჭვირვალე, საჭიროა, რომ სპეციალობის გამოცდა შეფასდეს ქულებით და გამოცდის შედეგები გამოქვეყნდეს. ასევე განისაზღვროს მაქსიმუმ რამდენი ქულით ფასდება გამოცდა და რამდენი ქულა ითვლება დადებით შეფასებად.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა
 - ინტერვიუები სპეციალობის და მომიჯნავე სპეციალობი სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
 - საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება
 - უნივერსიტეტის ვებ გვერდი www.ug.edu.ge
 - დაწესებულების მიერ მოწოდებული საკითხების ჩამონათვალი

- რეკომენდაციები:**
- სპეციალობის გამოცდა შეფასდეს ქულებით და გამოცდის შედეგები გამოქვეყნდეს.
 - განისაზღვროს გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულა და დადებითი შეფასების ზღვარი.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

Xმეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციით რომლის თანახმად: საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება ხდება სკოლის დირექტორის ან/და შესაბამის სკოლაში შემავალი დეპარტამენტის უფროსის მიერ. სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობის დაწყების შესახებ და განსაზღვრავს პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს/სამსახურებს. სკოლის საბჭოზე განხილვის და დამტკიცების შემდეგ, პროგრამა დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობის შემთხვევაში, პროგრამა მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი. პროგრამის 120 კრედიტს შეადგენს: პროგრამის ძირითად საგნები 36 ECTS, პროგრამის არჩევით საგნები 54 ECTS, სამაგისტრო ნაშრომი (30 ECTS). არჩევითი საგნების საერთო რაოდენობა შეადგენს 258 ECTS.

პროგრამის ძირითად საგნებს არ გააჩნიათ წინაპირობები, მათი შეთავაზება ხდება პირველ სემესტრში. ასევე არ გააჩნიათ წინაპირობა არჩევითი საგნების უმრავლესობას. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ფინალურ ეტაპს, შესაბამისად 90 კრედიტის დაგროვების შემდეგ, სტუდენტს

<p>ემლევა სამაგისტრო ნაშრომზე რეგისტრაციის შესაძლებლობა ძირითადი საგნების მიმართულებების მიხედვით.</p> <p>არჩევითი საგნების რაოდენობა არ არის დაყოფილი კონცენტრაციებად, რაც ქმნის სირთულეს, რომ სტუდენტები გავიდნენ თანაბარ შედეგებზე. მაგალითად, ერთ-ერთი არჩევითი საგანია აკადემიური წერა. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, სტუდენტები პირველივე წელს ირჩევენ სამაგისტრო თემას და ამის მიხედვით იღებენ სიტყვიერ რეკომენდაციას, თუ რა საგნები აირჩიონ მომდევნო წელს. იმისთვის, რომ სტუდენტმა უკეთ დაგეგმოს კურსების თანმიმდევრობა, საჭიროა, არჩევითი საგნები დაჯგუფდეს ძირითადი მიმართულებების მიხედვით.</p> <p>პროგრამის მიზნებში მითითებულია, რომ კურსდამთავრებული იქნება „სპეციალისტი პროგრამული უზრუნველყოფის დაგეგმვის, შემუშავების და დანერგვის მიმართულებით“. ასევე მითითებულია, რომ კურსდამთავრებულს შეეძლება, დასაქმდეს, როგორც პროგრამისტი. იმავე დროს, პროგრამის სავალდებულო საგნებში არ შედის დაპროგრამება, ხოლო არჩევითი საგნები ისეა განსაზღვრული, რომ სტუდენტმა შეიძლება არ აირჩიოს რომელიმე დაპროგრამების ენა. ამ შემთხვევაში ის ვერ გახდება პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების სპეციალისტი. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა, რომელიმე დაპროგრამების ენა იყოს სავალდებულო. დასაქმების ჩამონათვალში ასევე, მითითებულია „მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორი“, თუმცა მონაცემთა ბაზები არ შედის სავალდებულო საგნებში და არც არჩევითი საგნების სტრუქტურა განაპირობებს ამ კურსის სავალდებულო არჩევას. შესაძლებელია ამ მიმართულებების საგნების განსაზღვრა სავალდებულო-არჩევითად ისე, რომ პროგრამის მიზნები მიღწევადი იყოს.</p> <p>სწავლის შედეგებში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულს ექნება DevOps პრაქტიკული იმპლემენტაციის ცოდნა. DevOps კურსი არჩევითია, შესაბამისად, ყველა კურსდამთავრებული ვერ გააა ამ შედეგზე.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებული სხვა საგანმანათლებლო პროგრამები; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • დაჯგუფდეს არჩევითი საგნები მიმართულებების მიხედვით • კურსები, რომლებიც მნიშვნელოვანია მითითებული სწავლის შედეგებისთვის, გახდეს სავალდებულო-არჩევითი: ერთ-ერთი დაპროგრამების ენა, მონაცემთა ბაზებთან დაკავშირებული კურსები და DevOps
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაში შემავალი დარგობრივი სასწავლო კურსები (ძირითადი და არჩევითი ერთად), მათში აღწერილი სწავლის შედეგები ერთობლიობაში უზრუნველყოფს პროგრამაში გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა სტუდენტის არჩევანის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, შეიძლება მიუღწეველი იყოს ყველა შედეგი ცალკეული სტუდენტებისათვის, რაც დეტალურად მითითებულია ქვესტანდარტში 2.2.</p> <p>სასწავლო მასალა თანამედროვე და შესაბამისია საგნების შინაარსთან და შედეგებთან. ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსი საჭიროებს დახვეწას. მაგალითად სასწავლო კურსში 8054_INFO6221_DevOps-ში ძირითადად განხილულია ქსელური მოწყობილობების მონიტორინგის, კონფიგურირების და მართვის პროგრამების დეველოპმენტის საკითხები, მაშინ როდესაც DevOps-ი უფრო ეხება დეველოპმენტის პროცესების ავტომატიზაციის (კონფიგურაციის , უწყვეტის ინტეგრაციის, განთავსების და სხვა) საკითხებს და აქცენტი კეთდება პროგრამების ხარისხის გაზრდის და შექმნის დასწრაფების მეთოდოლოგიებზე.</p> <p>ასევე ზოგიერთ სილაბუსებში სწავლის შედეგებში მითითებულია, რომ მაგისტრანტი სიღრმისეულად დაუფლება გარკვეულ უნარებს, მაშინ როდესაც სილაბუსის მიხედვით სიღრმისეული ცოდნა არ არის ასათვისებელი მასალის სიღრმით განპირობებული.</p> <p>სისტემური დაპროგრამების სილაბუსი განიხილავს WinAPI დაპროგრამებას, რაც მოძველებულია და აღარ ისწავლება თანამედროვე პროგრამებში. სისტემური დაპროგრამება საერთაშორისო პროგრამებში ისწავლება Linux-ზე დაფუძნებით. ამასთან, მითითებული ლიტერატურა არის 2000 და 2005 წლის, რაც ძალიან ძველია სისტემური დაპროგრამებისთვის.</p> <p>საგნების სილაბუსების ნაწილის შემთხვევაში ძირითადი და განსაკუთრებით, დამატებითი ლიტერატურის სია შემოიფარგლება მცირე ჩამონათვალით და ზოგიერთი კურსის შემთხვევაში მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის სახელმძღვანელოს ან წყაროს მითითებით (მაგალითად, ლიდერობა თითო-თითო, ოპერაციული მენეჯმენტი - 1 სავალდებულო და 2 დამატებითი</p>

ლიტერატურის მითითებით და სხვა), რაც მაგისტრატურის საფეხურისთვის ნაკლებად რელევანტურად მიიჩნევა. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, თუკი ეს შენიშვნა რესურსების ნაკლები ხელმისაწვდომობის პირობებში შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს, გაუმართლებელია მენეჯმენტის კურსებთან მიმართებაში, სადაც რელევანტური ლიტერატურის ფართო და მრავალფეროვანი არჩევანია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;
- დარგობრივი სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;

რეკომენდაციები:

- DevOps-ის სილაბუსი შეიცვალოს DevOps თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად
- სისტემური დაპროგრამების სილაბუსი შეიცვალოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და განახლდეს ლიტერატურა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სტუდენტების შემდგომი სწავლების პროცესის ხელშეწყობის მიზნით გაიზარდოს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მრავლად ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს, მათ შორის - ნაწილი მოიცავს პრაქტიკულ პროექტებს. პროგრამის სავალდებულო კომპონენტის სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში სტუდენტი ვალდებულია ჩაატაროს პრაქტიკული, კვლევითი და სხვა სახის სამუშაოები.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტარტაპ ფაქტორი და იდეალები, სადაც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, იმუშაონ დამოუკიდებელ ტექნოლოგიურ პროექტებზე.

სტუდენტებს სწავლის პერიოდში საშუალება ეძლევა მონაწილეობა მიიღონ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში და ჰაკათონებში, კიბერუსაფრთხოების ყოველწლიურ ფესტივალში, მოისმინონ საჯარო ლექციები და სემინარები, რაც საშალებას აძლევს მათ კიდევ უფრო განიმტკიცონ და განავითარონ პრაქტიკული და კვლევითი უნარები.

უნივერსიტეტი ახორციელებს სამეცნიერო პროექტების მატერიალურ-ფინანსურ მხარდაჭერას, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს სწავლის პერიოდში ჩაერთონ სამეცნიერო პრაქტიკულ საქმიანობაში და კიდევ უფრო განავითარონ თავიანთი უნარები.

პროგრამის ფინანსური ნაწილია სამაგისტრო ნაშრომი, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს აფილრებული ან მოწვეული პროფესორი, ხოლო პრაქტიკულ საკითხებში კონსულტაციას გადის უნივერსიტეტის მხარდამჭერი ორგანიზაციების და ფირმების კვალიფიციურ პერსონალთან.

სამაგისტრო პროგრამა კარგად არის დაბალანსებული თეორიული და პრაქტიკული კურსებით, მაგრამ ზოგიერთი კურსები ძალიან მოცულობითია, ამიტომ შეიძლება საეჭვო გახდეს სწავლების სასურველ შედეგებზე გასვლა პრაქტიკული და სამეცნიერო უნარების ათვისების თვალსაზრისით.

ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია, სამაგისტრო ნაშრომები შეფასდა მომიჯნავე სპეციალობების კურსდამთავრებულების სამაგისტრო ნაშრომებით, საიდანაც გამოიკვეთა, რომ ნაშრომები ძირითადად არის მიმოხილვითი ხასიათის და მცირეა კვლევის და კრეატიული აზროვნების წილი. სასურველია, მოცემული პროგრამის სამაგისტრო ნაშრომებში მიექცეს ყურადღება კვლევითი ნაწილის გაძლიერებას, რაც აღნიშნულია 3.2 კომპონენტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა
- პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები.
- ინტერვიუები პროფესორებთან
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის სამაგისტრო ნაშრომებში მიექცეს ყურადღება კვლევითი ნაწილის გაძლიერებას.

<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/>არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაში აღწერილ საგნებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია და შერჩეულია საგანთა სპეციფიკის გათვალისწინებით. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო-კვლევითი ამოცანის შესაბამისად, გამოიყენება შემდეგი მეთოდები :</p> <ul style="list-style-type: none"> ○ დემონსტრირების მეთოდი; ○ სიახლეთა გარჩევა; ○ პრეზენტაციების წარდგენა; ○ გუნდური მუშაობა; ○ ლიტერატურის მიმოხილვა ○ წიგნზე მუშაობის მეთოდი ○ პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სავარჯიშოები; ○ შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში; ○ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, ინდუქციური, დედუქციური, ანალიზის, სინთეზის, ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობითი, ევრისტიკული, გონებრივი იერიშის; აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი მონაწილეობს Erasmus+პროგრამაში , რომელიც ეხება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების შემუშავებას და სრულყოფას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაარსდა პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც შემუშავდა სახელმძღვანელო სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისთვის. პროექტის ფარგლებში,გამოცემულისახელმძღვანელოს ბაზაზე ჩატარდა ტრენინგი კოიმბრას

<p>უნივერსიტეტის წარმომადგენლების მხრიდან , სადაც გადამზადდენ ტრენერებად საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალი .</p> <p>სილაბუსების დიდ ნაწილში ზემოთ მოყვანილი მეთოდები მხოლოდ ზოგადადაა მითითებული და არ ჩანს მათი განხორციელება დავალებებში ან შეფასების მეთოდებში. ავილირებულ და მოწვეულ პროფესორებთან, ისევე როგორც სტუდენტებთან ინტერვიუები ადასტურებს, რომ პროფესორები თავის სილაბუსებში იყენებენ მრავალფეროვან და საგნის სპეციფიკის შესაბამის დავალებებს, როგორცაა ჯგუფური პროექტები და ქვისების შესწავლა, მაგრამ ხშირად ეს არაა ასახული სილაბუსებში. საჭიროა, სილაბუსში ჩამონათვალში მითითებულ სწავლების მეთოდს შეესაბამებოდეს დავალებები ან შეფასების მეთოდები.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ○ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები. ○ ინტერვიუები პროფესორებთან ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან ○ ინტერვიუები სტუდენტებთან
<p>რეკომენდაციები:</p> <p>სილაბუსებში მითითებული სწავლა-სწავლების მეთოდების შესაბამისად განისაზღვროს შესაბამისი დავალებები ან შეფასების მეთოდები, რომ ცხადად ჩანდეს ამ მეთოდების გამოყენება</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 და საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულების შესაბამისად.

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს ყოველკვირეულ შეფასებას, შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ დადებით შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შუალედური და დასკვნითი შეფასებები ხორციელდება რამდენიმე კომპონენტის მიხედვით (ღია და დახურული კითხვები, საშინაო დავალება, თემა, დეფინიციები, რეფერატის მომზადება/პრეზენტაცია და სხვა) რომელთაგან თითოეული გარკვეული შედეგების გასაზომად გამოიყენება.

სწავლების პროცესში მუდმივად ხორციელდება სტუდენტთა შეფასების კონტროლი.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სილაბუსების დიდი ნაწილი, რიგი გამონაკლისის გარდა, როგორც სწავლების, განსაკუთრებით კი შეფასების საერთო, უნიფიცირებული სისტემის საფუძველზეა გაწერილი და ნაკლებად ასახავს თითოეული კურსის სპეციფიკას და არ იძლევა მის ფარგლებში მისაღწევი, სილაბუსში ფიქსირებული, შედეგების გადამოწმების შესაძლებლობას (კონკრეტული მაგალითის სახით, თუკი ავიღებთ სილაბუსს ლიდერობაში, სადაც მოცემულია მისაღწევი შედეგების საკმაოდ ფართო სპექტრი - *შეძლება დაახასიათოს ადამიანის ბუნებასთან დაკავშირებული ძირითადი მეცნიერული თეორიები; შეძლება დაახასიათოს ადამიანის პიროვნების განვითარების ეტაპები, შედეგები და არსებული; ტიპები და ადამიანის ბუნებაზე დაყრდნობით მოახდინოს მისი მოტივების და ქცევების პროგნოზი; შეძლება აღწეროს და დაახასიათოს ლიდერთა ტიპები და ფსიქოლოგიური პორტრეტები; შეძლება ჩამოთვალოს ძალაუფლების მოპოვების, ფლობის და გამოყენების გზები და შედეგები; შეძლება აღწეროს საკომუნიკაციო ქსელის შექმნის, შენარჩუნებისა და განვითარების პრაქტიკული გზები; გააზრებული ექნება გლობალური ხედვის აუცილებლობა და მრავალეთნიკური ჯგუფების მართვის; გზები ბიზნეს-საქმიანობაში წამოჭრილი მენეჯერული პრობლემების გადასაჭრელად; შეძლება შეისწავლოს სხვების მოტივები და ქცევები რისკების თავიდან აცილების მიზნით; შეძლებს პროფესიონალური ქსელების, ინტერესის ჯგუფებისა და სოციალური ქსელების საშუალებით; მიღებული არასრული ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს და გამოყენებას დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების მიზნით; შეძლებს ამოიცნოს ლიდერთა არსებული ბუნებრივი ტიპაჟები და აღიქვას ლიდერული პოტენციალი - და მოცემულია შეფასების შემდეგი კომპონენტები - პრეზენტაცია 1 (30%); პრეზენტაცია 2 (30%) და დასკვნითი გამოცდა (40%) დაკონკრეტებებისა და მოთხოვნების დეტალიზაციის გარეშე, რთულია ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად უზრუნველყოფს შეფასების ეს სისტემა მისაღწევ შედეგებს. თანადროულად, ქვიზები, რომელიც თითქმის ყოველკვირეულად გამოიყენება ლიდერობის კურსის შემთხვევაში, არ ხვდება შეფასების კომპონენტთა სიაში, რაც ასევე ბადებს კითხვებს შეფასების სისტემისა და მუშაობის სპეციფიკის თავსებადობაზე). ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ვიზიტის პირობებში თავად პროგრამასთან ასოცირებული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების კომენტარებიც, რომლებმაც დააკონკრეტეს და ცხადი გახადეს შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები, სტუდენტების წინაშე თითოეული კრიტერიუმის ფარგლებში წარდგენილი მოთხოვნები და დააზუსტეს შეფასების კონკრეტული მეთოდებიც.*

მაგალითად, სილაბუსების დიდ ნაწილში მითითებულია, რომ გამოიყენება წერიტი გამოცდა და ამ გამოცდის ნაწილია „პრაქტიკული ამოცანის შესრულება“, რომელიც ფასდება 5 გრადაციით, თითოეულზე 25%:

- ამოცანა სრულად და ამომწურავად არის ამოხსნილი
- ამოცანა ნაწილობრივ არის ამოხსნილი, არსებითი შეცდომა არ არის

<ul style="list-style-type: none"> • ამოცანა ნაწილობრივ არის ამოხსნილი, აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები • ამოცანა ნაწილობრივ არის ამოხსნილი, აღინიშნება არსებითი შეცდომები • ამოცანა არ არის ამოხსნილი / არასწორად არის ამოხსნილი. <p>ისეთ კურსებში, რომლებიც დაკავშირებულია ქსელებთან ან პროექტების მართვასთან, გაუგებარია, რა ტიპის ამოცანების „ამოხსნა“ ხდება. პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთა განმარტებით, რეალურად ხორციელდება პრაქტიკული ამოცანა, და ეს შეფასება საკმარისია. თუმცა პროფესორებთან ინტერვიუები აჩვენებს, რომ ისინი იყენებენ სხვადასხვა ტიპის შეფასებებს კონკრეტული საგნის შესაბამისი დავალებების მიცემისას. ასევე, თითქმის ყველა სილაბუსი იყენებს პრეზენტაციას და პრეზენტაციის ერთგვაროვან შეფასებას.</p> <p>შესაბამისად, საჭიროა, რომ საგნის სილაბუსები გადაიხედოს და მოხდეს თითოეული საგნის სპეციფიკების მეტად გამოკვეთა, განსაკუთრებით შეფასების ნაწილში. სტუდენტისათვის საგნის სილაბუსიდან ცხადი უნდა იყოს, თუ რა ვალდებულებების წინაშე აყენებს მას ლექტორი შეფასების სისტემაში ინტეგრირებულ თითოეულ კომპონენტთან მიმართებაში, რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ხარისხს აამაღლებს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ○ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები. ○ online UG სისტემა ○ საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება ○ ინტერვიუები პროფესორებთან ○ ინტერვიუები სტუდენტებთან ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოხდეს საგნის სილაბუსებში შეფასების სისტემის სპეციფიკის მეტად გამოკვეთა და შეფასების კომპონენტების რელევანტური გაწერა და განმარტება ისე, როგორც ეს ხდება რეალურ სასწავლო პროცესში. • მოხდეს ქვიზების ასახვა და ქულების შესაბამისი გადანაწილება ლიდერობის სილაბუსის შეფასების სისტემაში.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p>X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვის სებისშეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადეკვატურ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

<p>3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება</p> <p>სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოცემული სტანდარტის კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ინტერვიუებში მონაწილეობდა უნივერსიტეტის როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. მათთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ წარმოდგენილი სტუდენტებისა და</p>
--

კურსდამთავრებულების ნაწილი პროგრამის შემუშავების პროცესში იყვნენ ჩართულები, შესაბამისად მათგან მიღებული რჩევები და რეკომენდაციები პროგრამის განვითარებაში ასახულია. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინიცირებით მოხდა არჩევითი საგნების რაოდენობის გაზრდა, ასევე შემცირდა სავალდებულო საგნების რაოდენობა ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ,რომ სტუდენტებს საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ნებისმიერი სახის ინფორმაციის მოძიება შეუძლიათ. ელექტრონული სამეცნიერო ბაზები და ელექტრონული ბიბლიოთეკა სავსაშუალოდ გამართულად ფუნქციონირებს.

ინტერვიუებმა ცხადჰყო ,რომ ინფორმაციის მიწოდებისა და გაზიარების პრობლემა არ დგას ,ასევე კომუნიკაცია სტუდენტებს, პროფესორებსა და ადმინისტრაციას შორის შეუფერხებლად მიმდინარეობს.

ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა დასავლურ და აღმოსავლურ უნივერსიტეტებთან.

ინფორმაციული მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში. სტუდენტების უმრავლესობა ფლობს ინფორმაციას აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ, თუმცა

პირადი მიზეზებიდან გამომდინარე მათ არ ჰქონიათ მზაობა და სურვილი ჩართულიყვნენ ზემოაღნიშნულ აქტივობაში.

ინტერვიუებმა ცხადჰყო, რომ ადმინისტრაცია ცდილობს სტუდენტებს დახმარება გაუწიოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში, უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა ელექტრონული სისტემა (UG Portal), რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს სემესტრის დასაწყისამდე, მისი მსვლელობისას და დასრულების შემდეგ თვალი ადევნონ თავიანთ აკადემიურ მოსწრებას და გაეცნონ კურსების სილაბუსებს, მიიღონ ინფორმაცია სასწავლო პროცესის, უნივერსიტეტსა და მის გარეთ არსებული შესაძლებლობების შესახებ (კონფერენციები, გაცვლითი პროგრამები, დასაქმების შესაძლებლობა)

პროგრამის უსდ-ს აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული სხვადასხვა კომპანიებთან და დაწესებულებებთან, სადაც სტუდენტებს სტაჟირების გავლის საშუალება ექნებათ.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერებაა საჭირო.

საბოლოოდ, ინტერვიუებმა ცხადჰყო, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები გამოთქვამენ კმაყოფილებას, როგორც ზოგადი საუნივერსიტეტო სერვისების, ასევე პროგრამის განხორციელებისა და სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით .

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერა და თვითშეფასება
- სასწავლო კურსების სილაბუსები.
- საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება

<ul style="list-style-type: none"> • ინტერვიუები პროფესორებთან • ინტერვიუები სტუდენტებთან • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> ▪ პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში თანამშრომლობა ბევრ სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან. ▪ პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების საათობრივი დატვირთვის გაზრდა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი <p>წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოცემული სტანდარტის კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი არის კვალიფიციური სფეროში, მათ აქვთ შესაბამისი თეორიული ცოდნა და გამოცდილება დარგში, რაც ქმნის იმის წინაპირობას, რომ მათ შესწევთ უნარი, გაუწიონ</p>

ხელმძღვანელობა სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომების წერის პროცესში. თუმცა, სასურველია პროგრამაში ჩართული ძირითადი აკადემიური პერსონალის გაძლიერება კონკრეტულად საინფორმაციო ტექნოლოგიების კვლევის მიმართულებით, რაც სამომავლოდ დადებითად იქნება ასახული სამაგისტრო ნაშრომების ხარისხსა და აკადემიური პერსონალის საქმიანობაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროგრამის ხელმძღვანელის სამეცნიერო კვლევების გაძლიერება. მას გამოქვეყნებული აქვს 4 სამეცნიერო ნაშრომი, აქედან არცერთი არაა შესული სკოპუსის ბაზაში. სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა ხდება თავად სტუდენტების მიერ. სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია ითვალისწინებს რამდენიმე ეტაპს, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს მთელი სემესტრის განმავლობაში მიიღოს უკუკავშირი, როგორც საბჭოს ასევე, ხელმძღვანელის მხრიდან.

ნაშრომის წერის პროცესი ორივე მხარის კონსტრუქციული თანამშრომლობით მიმდინარეობს, ხელმძღვანელები გარკვეული ინტენსივობით ხვდებიან სტუდენტებს (კვირაში ერთხელ) და აძლევენ უკუკავშირს და კონსულტაციას თემატიკებზე.

ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია, სამაგისტრო ნაშრომები შეფასდა მომიჯნავე სპეციალობების კურსდამთავრებულების სამაგისტრო ნაშრომებით. შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ ნაშრომებში კვლევითი კომპონენტი სუსტია. მნიშვნელოვანია, რომ დაინერგოს სამაგისტრო ნაშრომების შეფასების ისეთი მექანიზმი, რომელიც ახალ პროგრამაში უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომებში კვლევითი კომპონენტის სათანადო სტანდარტს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებისას გამოვლინდა, რომ დაწესებულებას აქვს პლაგიატის ამომცნობი სისტემა, რომელსაც ხელმძღვანელები იყენებენ ნაშრომების შემოწმებისას.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებთან ინტერვიუებმა დაადასტურა ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენების პრაქტიკა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, პლაგიატის საწინააღმდეგო პოლიტიკის გამოყენების პრაქტიკების დადასტურება საბოლოო ნაშრომის მიღმა არ ჩანს. სტუდენტები ინტერვიუს პროცესში პლაგიატის საკითხებზე მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში საუბრობდნენ და არ დაუდასტურებიათ ამ მოთხოვნების დაცვის აუცილებლობა მის მიღმა. შესაბამისად, რჩევის სახით შეიძლება ითქვას რომ უნივერსიტეტმა იზრუნოს პლაგიატის სტანდარტების დაცვის აუცილებლობასა და შესაბამისი განმარტებების მიცემაზე სხვადასხვა ტიპის წერითი დავალებების შესრულებისა და შეფასების პროცესში, რათა თავიდან იქნეს აცილებული პლაგიატთან მიმართებაში პოტენციური საფრთხეები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერა და თვითშეფასება
- სასწავლო კურსების სილაბუსები.
- საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება
- ინტერვიუები პროფესორებთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან
- აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიები;
- მომიჯნავე პროგრამის სტუდენტთა სამაგისტრო ნაშრომები.

რეკომენდაციები:

- სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა კვლევის გაძლიერება საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით;
- სამაგისტრო ნაშრომების შეფასების ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომელიც ახალ პროგრამაში უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომებში კვლევითი კომპონენტის სათანადო სტანდარტს.
-

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკების დანერგვა და გამოყენება სამაგისტრო ნაშრომის მიღმა
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 1 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, და 9 მოწვეული პერსონალი. პროგრამაში ჩართული პირების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობასა და საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებში არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. წარმოდგენილი აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების რაოდენობა და კვალიფიკაცია საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის.

პროგრამის ხელმძღვანელი არის ინფორმატიკის დოქტორი, აქვს ხანგრძლივი პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილება. იგი უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. თუმცა მისი კვლევითი გამოცდილება არის სუსტი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელობისთვის. მას გამოქვეყნებული აქვს 4 სამეცნიერო ნაშრომი, აქედან არცერთი არაა შესული სკოპუსის ბაზაში. ვინაიდან სამაგისტრო პროგრამისთვის კვლევა არსებითია, მნიშვნელოვანია, გაიზარდოს პროგრამის ხელმძღვანელის სამეცნიერო კვლევები, განსაკუთრებით საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნება. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესორებს აქვთ კვლევების გამოცდილება, მათ შორის საერთაშორისო ჟურნალებშიც, თუმცა ცოტაა კონკრეტულად საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით კვლევები.

სასწავლო პროცესის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს უნივერსიტეტში დასაქმებულია 250 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და საქართველოს უნივერსიტეტის გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- გაიზარდოს პროგრამის ხელმძღვანელის სამეცნიერო კვლევების რაოდენობა

<ul style="list-style-type: none"> • გაიზარდოს პროგრამაში ჩართული პროფესორების კვლევები სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებული მიმართულებით
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p>
<ul style="list-style-type: none"> ➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საქართველოს უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასების დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ფასდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპეტენცია; დგინდება დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ხარისხი.</p> <p>საქართველოს უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის განვითარებისა და წახალისების მიზნით შემუშავებულია პრემიის გაცემის ინსტრუქცია, რომლითაც ხდება აკადემიური პერსონალის წახალისება უნივერსიტეტის სახელით რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული ნაშრომისათვის. კონკრეტულად ამ პროგრამაში ჩართულ რამდენიმე ლექტორს მიღებული აქვს აღნიშნული პრემია.</p>

საქართველოს უნივერსიტეტში აგრეთვე ხორციელდება „სამეცნიერო ოთხშაბათები“ - სემინარები, რომლის მიზანია აკადემიური პერსონალისათვის და მაგისტრატურა-დოქტორანტურის სტუდენტებისათვის კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა.

უნივერსიტეტში არსებულ სამეცნიერო ინსტიტუტში დანერგილია პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სრულ დაფინანსებას უნივერსიტეტის სახელით მნიშვნელოვან სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობისათვის, თუმცა კონკრეტულად ამ პროგრამაში ჩართულ პერსონალს არ უსარგებლია ამ შემოთავაზებით. ვინაიდან პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს თვითონ პროგრამის სპეციფიკასთან დაკავშირებული კვლევები მცირე რაოდენობით აქვთ, განსაკუთრებით საერთაშორისო მიმართულებით, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს დარგობრივი კვლევის გაძლიერებას, რაც აღნიშნულია 4.1 კომპონენტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მეტი ყურადღება დაეთმოს დარგობრივი კვლევის გაძლიერებას

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური და მატერიალური რესურსებით. სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით და პროექტორით.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გააჩნია კეთილმოწყობილი სამკითხველო სივრცე და სოლიდური წიგნადი ფონდი. ვინაიდან უნივერსიტეტში სილაბუსების შედგენის პროცესი ხორციელდება ელექტრონულად, ლექტორს არ აქვს შესაძლებლობა მასში მიუთითოს ისეთი წიგნი, რომელიც არ არის რეგისტრირებული ბიბლიოთეკაში. შესაბამისად, ახალი ლიტერატურის მოთხოვნა ლექტორის მხრიდან იგზავნება ადმინისტრაციაში, ხდება მისი შესყიდვა ბიბლიოთეკისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ სილაბუსში ასახვა.

ბიბლიოთეკის ელექტრონული და ნაბეჭდი რესურსით სარგებლობა შეუძლია უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს და აკადემიურ პერსონალს. ასევე მათ აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ისეთი ელექტრონული რესურსებით, როგორცაა Cambridge Journals და JSTOR.

უნივერსიტეტის ერთ-ერთ აუდიტორიაში დანერგილია Cisco-ს ტელეპრეზენტის სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა ლექციები წარიმართოს ონლაინ. მოცემული სისტემის ფარგლებში შესაძლებელია სემესტრის განმავლობაში ჩატარებული ლექციების ვიდეო ჩანაწერების შენახვა/დათვალიერება. უზრუნველყოფილია იმ სტუდენტების პირდაპირი ჩართვები, რომლებიც ვერ ახერხებენ ლექციაზე დასწრებას. სისტემას ასევე გააჩნია ონლაინ კითხვა-პასუხისა და შეფასების კომპონენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ბიბლიოთეკა, მატერიალური და ტექნიკური რესურსები და აღჭურვილობის დათვალიერება
- ბიბლიოთეკარებთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p>
<p>პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სკოლას შემუშავებული აქვს პროგრამის მოკლე ბიუჯეტი, სადაც დათვლილია მხოლოდ პროფესორთა საათობრივი ანაზღაურება სტუდენტების გადასახადებთან თანაფარდობაში. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის შემოსავლიდან გარკვეული ნაწილი ხმარდება უშუალოდ პროგრამულ უზრუნველყოფას, ხოლო დანარჩენი ნაწილი გადასახადების, სამეურნეო და საოფისე ხარჯებს, ლაბორატორიულ და ტექნოლოგიურ განვითარებას, თუმცა ეს ყველაფერი მოწოდებულ ბიუჯეტში ასახული არაა. ფაკულტეტის ადმინისტრაციის განმარტებით, პროგრამის ბიუჯეტი არის სკოლის ბიუჯეტის ნაწილი, რომლითაც გათვალისწინებულია სახსრები სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. სკოლის ბიუჯეტი, თავის მხრივ არის უნივერსიტეტის ბიუჯეტის განუყოფელი ნაწილი, რომლითაც განსაზღვრულია თანხები უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, საბიბლიოთეკო ფონდის და სხვა მიმართულებით განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის.</p> <p>ადმინისტრაციასთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სტუდენტების ამჟამინდელი რაოდენობით პროგრამა იმყოფება დოტაციაზე, თუმცა სტუდენტების რაოდენობის მინიმუმ</p>

<p>10-მდე გაზრდის შემთხვევაში პროგრამა თავის თავს შეინახავს. თუმცა ბიუჯეტში აღნიშნულია, რომ 5 სტუდენტი საკმარისია პროგრამის უზარალობისთვის. ადმინისტრაციის მიერ აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის მიზნებიდან გამომდინარე, მათ აქვთ სურვილი და საშუალება შეინახონ დოტაციაზე მყოფი ეს პროგრამა სამომავლო განვითარების პერსპექტივით. პროგრამის მდგრადობისთვის მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს პროგრამის ფუნქციონირებისთვის და განვითარებისთვის საჭირო ხარჯები, თუნდაც უნივერსიტეტის დოტაციის ჩათვლით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის ბიუჯეტი ○ ინტერვიუების შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>პროგრამის ბიუჯეტი გაიწეროს დეტალურად და გათვალისწინებული იყოს პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ხარჯები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p>x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისრესურსები თუზრუნველყოფა		x		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
<p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია პროგრამის შეფასების მექანიზმი როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. ხდება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიღწევების გაზომვა და ანალიზი და ტარდება პროფესორთა და სტუდენტთა გამოკითხვა სასწავლო კურსებით კმაყოფილების შესაფასებლად. ექსპერტთა მიერ მოთხოვნილ იქნა კითხვარების ფორმები და უკვე ჩატარებული კითხვარების ანალიზი, რომელიც საკმაოდ მწირი აღმოჩნდა. ინტერვიუებისა და თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, პროგრამის შეფასება ხდება: სტუდენტთა შეფასებების ანალიზით და შედარებით პროგრამის შედეგებთან შუალედური და დასკვნითი შეფასებების ანალიზით;</p> <p>სასწავლო კურსების კურატორების დასკვნებით, რომლითაც ფასდება სასწავლო მასალის ათვისება, დატვირთვა, კურსის სირთულე და სტუდენტების წინაშე სწავლის პროცესში წარმოქმნილი გამოწვევები;</p> <p>სტუდენტთა პროგრამით კმაყოფილების კვლევა თვისობრივი და რაოდენობრივი ტექნიკების გამოყენებით.</p> <p>პროგრამაში ჩართული პერსონალს პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესში ეხმარება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები ასევე მონაწილეობდნენ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში.</p> <p>ვინაიდან მოცემული პროგრამა 2019 წელს იყო აკრედიტებული პირობითად ერთი წლით, და გარკვეული რეკომენდაციები წინა შეფასებიდან დარჩა უცვლელი, კითხვის ნიშნის ქვეშაა, თუ რამდენად სრულყოფილად ხორციელდება შიდა ხარისხის შეფასება. ხარვეზები, რომლებიც გამოვლენილია მოცემული პროგრამის შემთხვევაში, რაც ეხება სწავლის შედეგებს, სწავლების მეთოდების დადასტურებას სილაბუსებში და საგნის სპეციფიკასთან დაკავშირებული შეფასებების ნაკლებობას, იმაზე მეტყველებს, რომ შიდა ხარისხის შეფასება სრულყოფილად ვერ ხორციელდება. საჭიროა, პრაქტიკულად გაძლიერდეს შიდა ხარისხის შეფასება და პროგრამა შეფასდეს მრავალმხრივ.</p>

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია ○ ინტერვიუები ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ○ ინტერვიუები თვითშეფასების ჯგუფთან
<p>რეკომენდაციები:</p> <p>გამლიერდეს შიდა ხარისხის შეფასების პრაქტიკული მექანიზმები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.2 გარე ხარისხის შეფასება</p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ხელმძღვანელის და თვითშეფასების ჯგუფის თქმით, პროგრამის შესაფასებლად მიმართეს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან დარგის სპეციალისტებს, თუმცა დოკუმენტურად ეს პროცესი არსად არაა ასახული. თვითშეფასების ანგარიშში მოცემულ კომპონენტში მითითებულია, რომ გარე ხარისხის შეფასება ხდება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით. ასევე ასახულია არაპირდაპირი შეფასების პროცესები, რაც შიდა ხარისხის შეფასებას ეკუთვნის. თვითშეფასების ანგარიშში ასევე მითითებულია, რომ პროგრამის შეფასებისას გამოიყენეს უცხოური უნივერსიტეტების პროგრამების მაგალითები, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ მსგავსი კვალიფიკაციის პროგრამა არცერთ უცხოურ უნივერსიტეტს არ აქვს - უცხოური პროგრამები გადის მენეჯმენტის და არა ინფორმატიკის კვალიფიკაციაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამაში მხოლოდ ნაწილობრივ არის გათვალისწინებული ის რეკომენდაციები, რაც განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ მიიღო პროგრამამ 2019 წელს. პროგრამის განვითარებისთვის მიზანშეწონილია, დაინერგოს და გაძლიერდეს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმები, განსაკუთრებით დარგის სპეციალისტების მიერ პროგრამის შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების დოკუმენტი
- კმაყოფილების კითხვარები
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

რეკომენდაციები:

გაძლიერდეს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმები, კერძოდ დაემატოს მსგავს პროგრამებთან შედარებისა და სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან დარგის სპეციალისტების შეფასებები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი ხორციელდება სხვადასხვა ტიპის გამოკითხვების და მონაცემთა ანალიზის საშუალებით, რომელიც მოიცავს სტუდენტების კმაყოფილების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პროგრამის პარტნიორი დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების კვლევას. თუმცა პროგრამაში არ არის შემუშავებული სამიზნე ნიშნულები, რომლითაც უნდა შეფასდეს პროგრამის განვითარება და შედარდეს პერიოდული შეფასების შედეგები. პროგრამის სრულფასოვანი მონიტორინგისთვის საჭიროა მრავალკომპონენტური სამიზნე ნიშნულების შემუშავება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o სამაგისტრო პროგრამა
- o თვითშეფასების დოკუმენტი
- o კმაყოფილების კითხვარები
- o ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- o ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან
- o ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

რეკომენდაციები:

პროგრამის სრულფასოვანი მონიტორინგისთვის შემუშავდეს მრავალკომპონენტური სამიზნე ნიშნულები.

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს
უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ინფორმაციული ტექნოლოგიების
მენეჯმენტი
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		x		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		x		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		x		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნანა დიხამინჯია



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის


სახელი, გვარი, ხელმოწერა მიხეილ რუხაია



სახელი, გვარი, ხელმოწერა ნანა მაჭარაშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა ზურაბ ბოსიკაშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა სოფიკო შარაბიძე